საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
Prosecution Service of Georgia
Office of the Prosecutor General of Georgia

0114 ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №24 ტელ: 2 405 344; 2 405 345
ელ.ფოსტა: kancelaria@pog.gov.ge; www.pog.gov.ge

KARR1350876344622

№13/57095 **09 / სექტემბერი / 2022 წ.**

ლიზი გოგოლაძეს

მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ, კორპ. №13, ბ. №46

ქალბატონო ლიზი,

თქვენი 2022 წლის 08 აგვისტოს 01/13-78891 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პროკურატურა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შესახებ ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც მუშავდება, აანალიზებს და ასახავს შესაბამის ანგარიშებში, რომლებიც 2018 წლიდან საჯაროა და ქვეყნდება საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე, ეს გახლავთ ანგარიშები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგებისა და განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების შესახებ.

ანგარიშებში მოცემულია ძირითადი სტატისტიკური ინფორმაცია წლების მიხედვით. 2018 წლიდან კი ინფორმაცია დამუშავებულია სქესის, რეგიონის დანაშაულის სახისა და კატეგორიის მიხედვით, წარმოდგენილია ინფორმაცია განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის შესაძლო გამომწვევი მიზეზების შესახებ (განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მავნე ჩვევები, ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა და ა. შ.)

ვინაიდან განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას, შეგიძლიათ გაეცნოთ თქვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შესახებ საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: https://pog.gov.ge/page/default/arasrulwlovanTa-marTlmsajuleba-1

პატივისცემით,

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი ჩილინგარაშვილი